ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №50034

ნომერი: AR123080

თარიღი : 13.02.2012

გაცემის თარიღი : 14.02.2012

გაცნობის თარიღი : 15.02.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტრო სადგურ "ისანთან" ყოფილი ავტოსალაროების მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია ხორგუაშვილი პ/ნ 01021017518
- თბილისი თემქა III მ/რ I კვ. კორ. 19 ბ. 36

ორგანიზაცია:

- სს "ჯიპისი აფთიაქი" კოდი: 201991229

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:
– გაურკვეველია თუ "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს და "ფოტომონტაჟი'–ს ველებში რა სახის დოკუმენტაცია – არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა თუ ფოტომონტაჟია ატვირთული, შესაბამისად ვერ ირკვევა თუ რა სახის სამუშაოების განხორციელება გაქვთ დაგეგმილი და ის ფაქტი სწორად გაქვთ თუ არა შერჩეული ნომენკლატურა. გაითვალისწინეთ, რომ თუ გსურთ სარეკლამო აბრის განთავსება, ნომენკლატურაში უნდა აირჩიოთ "აბრებისა და რეკლამების განთავსება". შესაბამისი ნომენკლატურის არჩევის შემდგომ საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დააფიქსიროთ საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ, ასევე შესაბამის ველებში ატვირთოთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და საპროექტო ფოტომონტაჟი (გაბარიტული ზომებისა და მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით).
– ვინაიდან საპროექტო ფართის მესაკუთრეს წარმოადგენს შ.პ.ს " /M ინვესთმენთი", ამისათვის საჭიროა შესაბამის ველში აიტვირთოს აღნიშნული ორგანიზაციის თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით ან მინდობილობა/რწმუნებულება. ასევე შესაძლებელია სამსახურს ახალი განაცხადით მომართოს შ.პ.ს " /M ინვესთმენთი"–ს უფლებამოსილმა პირმა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.